თანხმობის წერილი

შპს აკა (ს/კ: 404983791) გასცემს თანხმობას შპს EMD GROUP-ის (ს/კ: 426109748) სასარგებლოდ I კლასის ნომენკლატურით გათვალისწინებული საკითხებისთვის, კერძოდ, ქვემოთ მოცემულ ორ ობიექტზე შპს EMD GROUP-ს (ს/კ: 426109748) აქვს უფლება, რომ:

1. შეასრულოს მიმდინარე რემონტი;
2. განათავსოს სარეკლამო აბრები;
3. საჩრდილობლები;
4. პერგოლა;
5. კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა;
6. შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი.

ქ.თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N9, საოფისე ფართი N3	ს/კ: 01.13.01.018.119.01.01.003
ქ.თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N9, საოფისე ფართი N1	ს/კ: 01.13.01.018.119.01.01.001

შპს EMD GROUP (ს/კ: 426109748)-მა უზრუნველყოფს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურიდან ნებართვების მიღებას ზემოთ მოცემულ საკითხებზე.

შპს აკა (ს/კ: 404983791)

წარმოდგენილი მისი დირექტორის ლავრენტი ჯინჭარაძის (პ/ნ: 12001030459) სახით

ორი ათას ოცდაორი წლის პირველ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველ სართულზე მომმართა **ლავრენტი ჯინჭარაძემ**. მან წარმოადგინა წინამდებარე **თანხმობის წერილი** და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით: **ლავრენტი ჯინჭარაძე** - დაბ. 10.02.1982წ. ლენტეხში, პირადი #12001030459, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა 16, ბინა 3. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს აღნიშნულ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი. აღნიშნულ დოკუმენტი შედგება ერთი გვერდისაგან. სულ შესრულებულია ერთი ხელმოწერა.

გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა გადახდილია 6 (ექვსი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 1.08 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ხუთი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 12.08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ინგა ხარძიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221135113
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.09.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ინგა ხარძიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	50357267846622

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18